



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება N70/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მე-2 ტურისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის N21.49.17, N21.49.33, N21.57.09, N21.57.36, N21.57.16, N21.52.03, N21.52.07, N21.52.11, N21.52.14, N21.52.17 საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ხელახალი შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ.ზესტაფონი

2020 წლის 15 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 76¹ მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის №16/2020 დადგენილების, „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1 სექტემბრის №69/2020 განკარგულების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №51/2020 განკარგულების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №52/2020 განკარგულებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 360/2020 განკარგულების საფუძველზე, №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მე-2 ტურისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ N21.49.17, N21.49.33, N21.57.09, N21.57.36, N21.57.16, N21.52.03, N21.52.07, N21.52.11, N21.52.14, N21.52.17 საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. საბუთები მიიღება 2020 წლის 16 ნოემბერს 10 საათიდან 18 საათამდე, მატერიალური ან ელექტრონული სახით შემდეგ მისამართებზე:

N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. N 5 ან ელექტრონულ მისამართზე 51_zestaphoni@cec.gov.ge);

N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის №117) ან ელექტრონულ მისამართზე 49_terjola@cec.gov.ge

N52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი ბაღდათი სააკაძის ქ. N5 ან ელექტრონულ მისამართზე 52_bagdati@cec.gov.ge)

N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის №8) ან ელექტრონულ მისამართზე 57_tkibuli@cec.gov.ge

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 01 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე



გიორგი კახნიაშვილი

კომისიის მდივნის მ/შ



ნატალია ყიფშიძე

